აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 13

07 აგვისტო 2008 წელი ქ. ბათუმი

**უსკოს წევრებისათვის, აპარატის თანამშრომლებისათვის და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე აყვანილი უსკოს აპარატის თანამშრომლებისათვის არჩევნების პერიოდში გაწეული არასამუშაო დროისა და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების შესახებ**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 28-ე მუხლის მე-3 ქვეპუნქტის, 29-ე მუხლისა და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. ანაზღაურებული იქნეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრებისათვის, აპარატის თანამშრომლებისათვის და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე აყვანილი უსკოს აპარატის თანამშრომლებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 4 ოქტომბრის არჩევნების პერიოდში, 2008 წლის 4 აგვისტოდან სამი თვის განმავლობაში გაწეული არასამუშაო დრო და ზეგანაკვეთური სამუშაო ყოველთვიურად, თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ოდენობით.

2. ამ განკარგულების შესრულება დაევალოს უსკო-ს აპარატის ეკონომიკურ სამსახურს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

| | |
|---|---|
| კომისიის თავმჯდომარე | ა. მიქელაძე |
| კომისიის მდივანი | ქ. ჯიქია |